JW.ORG

# იყავი მტკიცე და დარჩი უბიწო!

ბიბლია მოგვიწოდებს, მოვერიდოთ სიძვას (1 თესალონიკელები 4:3). დარწმუნდი შენი შეხედულების სისწორეში და ეჭვი არ შეგეპაროს იმაში, რომ ღვთის კანონი შენთვისვეა სასიკეთო. ამაში იმ სიტუაციების წარმოდგენა დაგეხმარება, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდე.



მეტისმეტად მკაცრი ხომ არაა ღვთის კანონი?

რატომ უკრძალავს ღმერთი დაუქორწინებლებს ისეთი რამის გაკეთებას, რაც შეიძლება სიამოვნების მომგვრელი იყოს?






წარმოიდგინე თავი შემდეგ სიტუაციებში:

სიტუაცია 1
## გრძნობები

სიტუაცია 2
## ზეწოლა

სიტუაცია 3
## წინდახედულობა

სიტუაცია 4
## შედეგები




ახალგაზრდების უმეტესობა, ვისაც ქორწინებამდე აქვს სექსი, მოგვიანებით ნანობს თავის საქციელს. **როგორ ფიქრობ, რატომ ხდება ასე?**

______________________________

______________________________

გახსოვდეს: გოგოების უმეტესობას ურჩევნია, ისეთ ბიჭთან ჰქონდეს ურთიერთობა, რომელიც კი არ გამოიყენებს მას, არამედ დაიცავს; ხოლო ბიჭების უმეტესობას ნაკლებად მოსწონს ისეთი გოგოები, რომლებიც ადვილად ნებდებიან. **როგორ ფიქრობ, რა არის ამის მიზეზი?**

______________________________

______________________________



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

# საკუთარი აზრები ფურცელზე გადმოიტანე.

უპასუხე კითხვებს:



## სიტუაცია 1
## გრძნობები

ყოველთვის დასაძრახია სექსუალური სურვილების დაკმაყოფილება? (**წაიკითხე იგავების** 5:18, 19).

როგორ ფიქრობ, სქესობრივი ლტოლვა ერთადერთი ძლიერი სურვილია, რომელიც გიჩნდება? (დაასახელე, კიდევ რა სურვილები შეიძლება გაგიჩნდეს).

ადვილად ჰყვები მოზღვავებულ გრძნობებს? **დიახ** **არა**

შეგიძლია სექსუალური გრძნობების გაკონტროლება? **დიახ** **არა**

როგორ ფიქრობ, რას ელის ღმერთი შენგან, თუ მხედველობაში მიიღებ იმას, რომ მან თითოეულ ჩვენგანში სქესობრივი ლტოლვა ჩადო, მაგრამ, ამავდროულად, თავშეკავების გამოვლენასაც ითხოვს ჩვენგან? (**წაიკითხე 1 თესალონიკელების** 4:4).

## სიტუაცია 2
## ზეწოლა

როგორ ფიქრობ, რატომ დასცინის ზოგი მათ, ვინც უბიწობას ინარჩუნებს?

რატომ შეიძლება გიბიძგონ თანატოლებმა სექსისკენ?

როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეს მათ მიმართ, ვინც ღვთის კანონის დარღვევისკენ გიბიძგებს? (**წაიკითხე იგავების** 13:20).





## სიტუაცია 3
## წინდახედულობა

როგორ სიტუაციებს, ადგილებს ან ხალხს უნდა მოერიდო, რომ არ ცდუნდე და ქორწინებამდე უზნეობა არ ჩაიდინო?



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

## სიტუაცია 4
## შედეგები

ვისთვისაც მისაღებია უკანონო სქესობრივი ურთიერთობა, დიდი ალბათობაა, რომ დაქორწინების შემდეგაც ასე მოიქცევა. თუ ამ ფაქტს მიიღებ მხედველობაში, რატომ უნდა შეიკავო თავი სექსისგან დაქორწინებამდე? (**წაიკითხე გალატელების 6:7, 8**).

___

შენი აზრით, რატომ არის შენთვისვე კარგი, თუ დაქორწინებამდე უბიწო დარჩები?

___

ღრმად ხარ დარწმუნებული, რომ თუ ღვთის კანონს დაემორჩილები და დაქორწინებამდე თავს შეიკავებ სექსისგან, უფრო ბედნიერი იქნები, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თანატოლების გავლენაში მოექცევი და მათსავით „თავისუფალი“ ცხოვრების წესს აირჩევ? რატომ ფიქრობ ასე?

___



# დაისახე მიზანი

### სიტუაცია 1 — გრძნობები

თუ ვგრძნობ, რომ შეიძლება ვცდუნდე, ასეთ რამეს გავაკეთებ:

___

### სიტუაცია 2 — ზეწოლა

თუ თანატოლები დამცინიან იმის გამო, რომ უბიწობას ვინარჩუნებ ან სექსისკენ მიბიძგებენ, ასეთ რამეს ვეტყვი:

___

### სიტუაცია 3 — წინდახედულობა

თუ ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდები, სადაც შეიძლება სექსი შემომთავაზონ, ასეთ რამეს გავაკეთებ:

___

## შენ შეძლებ საკუთარ თავზე გამარჯვებას!

თუ დარწმუნდები შენი შეხედულების სისწორეში, ზეწოლის მიუხედავად, სწორ არჩევანს გააკეთებ.



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania